სამარცხვინო დამარცხება

„დინამო“ (თბილისი) – „ქაირათი“ (ალმა-ათა)

0:5! აი, ასე დამარცხდნენ თბილისის “დინამოს” ფეხბურთელები ალმა–ათის “ქაირათთან”.

ძნელია რამე კომენტარი გაუკეთო ამ სამარცხვინო წაგებას იმ დროს, როცა ასეთი კრიზისი აქვს ჩვენს გუნდს, როცა დინამოელებს ყოველი მატჩის შედეგი ოქროს ფასად უღირთ, ძალების სრული მობილიზაციის ნაცვლად ასეთი დემორალიზაციის წინაშე ვდგავართ.

ცხადია, საჭიროა რადიკალური ზომების მიღება. კატასტროფულ მდგომარეობას ხსნა უნდა უახლოეს ხანში. ეს არა მარტო შერცხვენილი ფეხბურთელების, არამედ თითოეული ჩვენთაგანის საქმეა და ამაზე საჭიროა სერიოზული ლაპარაკი, მთელი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის აქტიური მოქმედება. თბილისის “დინამოს” შველა უნდა!

“ლელო”, 11 ივნისი, 1974 წ.